ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4381889

ნომერი: AR1661006

თარიღი : 12.02.2019

გაცემის თარიღი : 19.02.2019

გაცნობის თარიღი : 19.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ზემო ვეძისი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01024006154
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 14 ბ. 14

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაგდა მეშვილდიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"ემ-პროჯექტ"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 12 თებერვლის AR1661006 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზემო ვეძისის დასახლებაში, N1-ში (საკადასტრო გეგმა N01.10.18.009.053) სასტუმროზე დაშენების ესკიზის შეთანხმებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნულ ტერიტორიაზე 2011 წლის 16 სექტემბრის 01/2773 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით დადგენილი მაქსიმალური სართულიანობა შეადგენს 2-3 სართულს, რომელიც ტერიტორიაზე არსებული შენობით ათვისებულია სრულად და AR1661006 განაცხადზე წარმოიდგენილი ესკიზის მიხედვით ხდება კიდევ ერთი სართულის დამატება (დაკავებული ფართობების მოწყობა), რაც ეწინააღმდეგება 01/2773 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილ სართულიანობას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.